„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მარტი. 2018 * (1)38

ინტერვიუ

ერთად ვიფიქრეთ მუნიციპალიტეტის მომავალზე

როსტომ მაგრაქველიძე

რამდენიმე თვე გვაშორებს იმ დღიდან, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა და საარჩევნო ციებ-ცხელებაც მინელდა. თითქოს ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა და ცხოვრების დინებას გაჰყვა. საქმე კი შესამჩნევად მაინც მრავალია, რომელთა გადაწყვეტა დიდ დროს, ჯაფასა და დაუღალავ შრომას მოითხოვს... ხალხის ნდობის გამართლებისათვის ზრუნვა კი ადგილობრივ ხელისუფალთა მხრიდან იმ გზების ძიებაა, რაც მუნიციპალიტეტს განავითარებს და ხალხს ცხოვრებას შეუმსუბუქებს.

ისეც ხდება, – რამდენი დიდი საქმეც არ უნდა გააკეთო, გასაკეთებელი მაინც ბევრია, როგორც იტყვიან, საქმეს რა გამოლევს!

ჰოდა, მომავალ გასაკეთებელ საქმეებზე სასაუბროდ ვეწვიეთ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ როსტომ მაგრაქველიძეს, რომელიც, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, „ქართული ოცნების“ სახეს წარმოადგენდა და დამაჯერებელი უპირატესობით ამომრჩეველთა ნდობაც მოიპოვა:

– ბატონო როსტომ, ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, დიდი ნდობა გამოგიცხადა და მერად აგირჩია. თავდაპირველად, მინდა გკითხოთ – მერიის აპარატში რა ცვლილებები განხორციელდა და კიდევ რას უნდა ველოდოთ?

– დიახ, 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ სწორი არჩევანი გააკეთა და ნდობა გამოუცხადა მმართველი გუნდის მიერ შერჩეულ კანდიდატებს და დიდი უპირატესობითაც მოვედით ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოში და მე პირველი არჩეული მერი გავხდი, გასული წლის 17 ნოემბრიდან კი მოვალეობის შესრულებას შევუდექი; რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, პირველ რიგში, მოადგილეებად შევარჩიე მაღალკვალიფიციური, გამოცდილი კადრები, კერძოდ – დავით პაპაშვილი და ლევან ბერიძე, რომლებიც ადრეც აქ იყვნენ დასაქმებულები სხვადასხვა თანამდებობებზე. ასევე მერიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე, კონკურსის წესით, შერჩეული არიან კვალიფიციური კადრები. რაც შეეხება მოსალოდნელ ცვლილებებს, სულ მალე, ამ დღეებში, კონკურსის წესით შეირჩევიან სპეციალისტები; მათ გარდა დამატებით, მერიას ეყოლება ზედამხედველობის სამსახური, რომელიც კორდინაციას გაუწევს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ასევე შეირჩევა და განსაზღვრულ ვადებში დაკომპლექტდება მერის წარმომადგენლები და სპეციალისტები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი.

– მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის რამდენი მილიონი ლარია გამოყოფილი და ძირითადად რა მიმართულებით ფიქრობთ მის გამოყენებას. პრიორიტეტად რომელი დარგი მიგაჩნიათ და ბიუჯეტის თანხებს რაში გამოიყენებთ?

– მიმდინარე სამეურნეო წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მარტო რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოიყოფა 2.800.000 ლარი, რომელიც ძირითადად მოხმარდება საკმაოდ დიდ და მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

დასასრული მე–2 გვ.



ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელმაც განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

– ინფორმაცია ფრაქცია ,,ევროპული საქართველო„-ს თავმჯდომრის მოადგილის არჩევის შესახებ;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2017 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

– ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის ორგანოებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამომდინარე, გამონაკლისის დაშვებისათვის, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

– ა(ა)იპ ,,ასპინძის შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო მუზეუმის“ ლიკვიდაციაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მომსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნების გადანაწილების და პროგრამული კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 03 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– „ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმის, პირობებით გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 06 მარტის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მისი ოდენობის დადგენის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 13 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ოქტომბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის ორგანოებში საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ოქტომბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ოქტომბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოებისა და სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტში პრემიის ოდენობის განსაზღვრის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 05 სექტემბრის №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა საკონკურსო - საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ოქტომბრის №38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

– დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს სხდომას ცნობის სახით მიეწოდა ფრაქციის „ევროპული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილედ, ფრიდონ ლონდარიძის არჩევის შესახებ.

ერთად ვიფიქროთ მუნიციპალიტეტის მომავალზე

პირველი გვერდიდან

– იქნებ უფრო დავკონკრეტდეთ – მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის ძირითადად რის გაკეთებას აპირებთ, გაქვთ თუ არა დაკონკრეტებული რა სამუშაოები უნდა განხორციელდეს?

– გადაწყვეტილი გვაქვს დაბა ასპინძაში შიდა ქუჩების – ვაჟა-ფშაველას (სამი განშტოების), ყაზბეგის (ორი განშტოების), დედაენის, ერეკლე მეორის (ორი განშტოების) რეაბილიტაცია; კეთილმოეწყობა ჭავჭავაძის პირველი და მეორე ჩიხები, ტაბიძის, მარჯანიშვილის, გოგებაშვილის და გორგასლის ქუჩების ჩიხები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიისა და ვარძიის ქუჩაზე არსებული დეკორატიული კედლების რეაბილიტაცია – განათების სისტემის ჩათვლით. მიმდინარე წელს დაგეგმილია დაბა ასპინძაში „სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა, რომლის სავარაუდო ღირებულება 240 ათას ლარს შეადგენს და მისი მშენებლობა განხორციელდება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით.

– „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში მართლაც ბევრი სასიკეთო ძვრები მოხდა. დაბაში თითქმის ყველა ქუჩას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე კეთილმოეწყო (მოასფალტდა) სასოფლო გზები, თუმცა მცირე, მაგრამ მაინც დარჩა ამ მიმართებით რიგი სამუშაოები დასამთავრებელი, კერძოდ, არ დამთავრებულა ოთის, ოშორის, აწყვიტის, თოკ-ვარგავის სასოფლო გზების დარჩენილი მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები. როდისთვის ფიქრობთ ამ მიმართებით მუშაობის გაგრძელებას და, სავარაუდოდ, რა რაოდენობის ასიგნებანი გამოიყოფა ამ სამუშაოებზე?

– ამ პროექტებიდან დაწყებულია და ეტაპობრივად მიმდინარეობს სოფელ თოკსა და ვარგავში მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ბოლო, მესამე ეტაპი, რისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილია 842.050 ლარი და დასრულდება 2018 წელს.

წელსვე დასრულდება სოფელ ოთაში მისასვლელი გზის ბოლო, მეორე ეტაპი, რისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან ასევე გამოყოფილია 755,953 ლარი. ყველა ამ პროექტის დაფინასებასა და განხორციელებაში წილობრივ მონაწილეობას ღებულობს ასპინძის მუნიციპალიტეტიც.

– ე.წ. „მთის ფონდიდან“ რა პროექტების განხორციელებას ფიქრობთ?

გარდა ჩამონათვალისა, მუნიციპალიტეტში, ე.წ. „მთის ფონდის“ პროგრამით, დამატებით განხორციელდება 840 000 ლარის ღირებულების პროექტები, კერძოდ, სოფელ ჭობარეთიდან გაგრძელდება ასპინძა-ახალციხის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რომელსაც, როგორც დიდი სტრატეგიული, ასევე ტურისტული თვალსაზრისითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. ამ პროექტის დაფინანსებაში, გარკვეულ წილს, ჩვენი მუნიციპალიტეტიც შეიტანს.

რაც შეეხება პრიორიტეტებს – განსაკუთრებული ყურადღება, რომ ჭერაში ვხედავთ. მოზიდული სახსრებით დასრულდება ხერთვისის ციხის სარეაბილიტაცია სამუშაოები, ვანის ქვაბების პარკირება, კეთილმოეწყობა მისი შემოგარენი, ვარძიაში აშენდება ვიზიტორთა ცენტრი, რომლის განხორციელებაში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ასევე მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდიც.

– ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მუშაობაში ყოველთვის სუსტ წერტილად ითვლება მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმე. წინა წლებთან შედარებით თუმცა საგრძნობლად გაუმჯობესდა მისი მიწოდება, საშველი არ დაადგა სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებას. ფაქტიურად მოსახლეობა წლის განმავლობაში ხშირად დაბინძურებულ სასმელ წყალს ღებულობს. რას ფიქრობთ, თქვენი მერობის პერიოდში შეძლებთ თუ არა ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას? ფაქტია, ამ საქმეს სპეციალური სამსახური განაგებს, რომელიც თქვენს დაქვემდებარებაში არაა, მაგრამ მერიის როლიც ხომ არანაკლებ მნიშვნელოვანია?

– გეთანხმებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ხარისხიანი წყლით მომარაგება ყოველთვის პრობლემურია, თუმცა მოუგვარებელი არაფერია. იმის მიუხედავად, რომ მისი გადაწყვეტა, ძირითადად, გაერთიანების პრეროგატივაა, მერია ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ მათთან ერთად, ერთხელ და სამუდამოდ, ეს პრობლემა მოაგვაროს.

– ტურიზმი ყოველთვის ასოცირდებოდა ასპინძასთანაც. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ვარძიის ტურისტული კომპლექსი ვერ აუდიოდა ტურისტთა და დამსვენებელთა მიღება-გასტუმრებას, ამჟამადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სეზონის პერიოდში, ტურისტების ბუმია. რა კეთდება დამატებით ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. აქვე დავძენ, ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია, რომ ამ მიმართებით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია მნიშვნელოვანი ასიგნებანი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით ხერთვისის ციხეზე ჩატარებულ მცირე სამუშაოებს, მაინც როდიდან უნდა ველოდოთ სასურველ შედეგებს?

– ტურიზმი, როგორც მთელი ქვეყნისათვის, ჩვენთვისაც პრიორიტეტული უნდა გახდეს. ამ მიმართებით გადაწყვეტილი გვაქვს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ისტორიულ ძეგლებამდე მისავლელი გზების კეთილმოწყობას, თანამედროვე სტანდარტებით მოვაწყოთ მათი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით დიდ სამუშაოებს განვახორციელებთ სოფელ საროში, სადაც აღდგენილი იქნება ძველი მესხური დარბაზები, კეთილმოეწყობა შიდა გზები, ციკლოპური ნაგებობების შემოგარენი, რომელიც ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში და, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ პროექტების განხორციელება დიდად წაადგება არა მარტო სოფლის შემდგომ განვითარებას, არამედ, საგრძნობლად გაიზრდება ვიზიტორთა რაოდენობაც და, ასევე, იგი კიდევ უფრო პოპულარიზაციას გაუწევს მთელ რეგიონს. ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია და იგი ხორციელდება მსოფლიო ბანკის უშუალო მხარდაჭერით.

როგორც იცით, სოფელ მირაშხანის ზემოთ, ე.წ. ნიალის გზის მიმართულებით, უძველესი ყორღანული სამარხების მთელი კომპლექსია, რომელიც, სამწუხაროდ, ვიზიტორთა არეალში ჯერჯერობით არაა მოქცეული, მისი რეკლამირება კი კიდევ უფრო გაზრდის მხარის სიძველეებით დაინტერესებულ ტურისტთა თუ ექსკურსანტთა რაოდენობას. სწორედ ეს ფაქტიც იქნა გათვალისწინებული, როდესაც მუნიციპალურ ფონდთან მოლაპარაკებით, მათი კეთილი ნებით, ვარძია-მირაშხანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ნაცვლად 3.6 კილომეტრისა, დამატებით ამდენივე მოცულობის სამუშაოები შესრულდება. ეს კი იმის ნიშანია, რომ მომავალში იგი ტურიზმის განვითარებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

– ძალზე მნიშვნელოვანი იყო ე.წ. ხიზაბავრის ტერასებზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მართლაც უმნიშვნელოვანესი და საშვილიშვილო საქმეა. ფიქრობთ თუ არა მსგავსი ღონისძიებების გაგრძელებას და როდიდან?

– ხიზაბავრის ტერასებს რაც შეეხება, კვლავ გაგრძელდება მისი აღდგენითი სამუშაოები და საბოლოოდ მიღწეული იქნება მისი სრული რეაბილიტაცია.

– დღეს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა მოსახლეობის დასაქმებაა, უმუშევრობა კლავს ეკონომიკას, ხელს უშლის მის განვითარებას. რის გაკეთებას აპირებთ ამ პრობლემის ნაწილობრივ მაინც მოგვარებისათვის?

– უმუშევრობის პრობლემა არა მარტო ჩვენი, მთლიანად, საქართველოსი, არამედ, მეტ-ნაკლებად, მსოფლიოს ყველა ქვეყნის პრობლემაა, თუმცა ამით თვითდამშვიდებას არ უნდა მივეცეთ. ამიტომ თითოეული პროექტის განხორციელება უმუშევრობის აღმოფხვრაა, მეტი სამუშაო – მეტ დასაქმებას ნიშნავს, რაც მოსახლეობის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიაა და ამიტომ მეტი მუშაობა გვმართებს სამუშაო ადგილების შექმნისათვის.

– ბატონო როსტომ, სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი. იმედია კიდევ არაერთხელ მოგვიწევს მუნიციპალიტეტის პრობლემებზე მსჯელობა და მოსახლეობისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

ესაუბრა
ავთანდილ ბერიძე

ძვირფასო ასპინძელებო, ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველებო!

გაზეთის ეს ნომერი, პირველია მიმდინარე წელს, თუმცა უკვე მეხუთე წელია რაც ვხვდებით ერთმანეთს და ყოველი ჩვენი შეხვედრა ახალ-ახალი ამბების მაცნეა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით მხოლოდ ჩვენგან შეგიძლიათ მიიღოთ სწორი ინფორმაციები, გაიგოთ რა ხდება მთლიანად მუნიციპალიტეტში, რითი და როგორ ცხოვრობს ჩვენი მოსახლეობა, რა აწუხებთ, რა მოლოდინები აქვთ.

დრო იყო ასპინძაში გამომავალი გაზეთის – „ასპინძის“ ტირაჟი იმდენად დიდი იყო, რომ არ ყოფილა სოფელი, ოჯახი, ეს გაზეთი რომ არ ჰქონოდა, ახლა, თუმცა, მისი ტირაჟი საგრძნობლად მცირეა, მაინც შესაძლებლობის მაქსიმუმი კეთდება, რომ ახალი ინფორმაციები თქვენამდე მოვიდეს. ცხადია, ტელევიზია და რადიო განუყრელი საინფორმაციო ატრიბუტები გახდნენ თითოეული თქვენგანისათვის, მაგრამ მათგან შეუძლებელია მიიღოთ ყველა ის ინფორმაცია, რასაც ჩვენ შემოგთავაზებთ, რადგან რესპუბლიკური ტელევიზიები ამის შესაძლებლობებს მოწყვეტილნი არიან, პერიოდული პრესა კი ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით შემოდის და, ისიც დაბაში და დასახლებული პუნქტები მუნიციპალიტეტის ინფორმაციებს არ აშუქებენ, ჩვენი გაზეთი კი, მეტ-ნაკლებად, ავსებს ამ სიცარიელეს და, ამიტომ, თქვენთვის, ამ მიმართებით, მეტი სამსახურის გაწევა შეუძლია.

გარდა ამისა, ურთიერთთანამშრომლობით შეგვიძლია მეტად საინტერესო და კითხვადი გავხადოთ ჩვენი გაზეთი და მეტი სამსახურიც გაგიწიოთ, მეტად ინფორმირებულები გავხადოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

კიდევ უფრო კარგად რომ ვიყოთ მუნიციპალურ ცხოვრებაში ჩახედულები, ვიცოდეთ, რითი სულდგმულობს და ცხოვრობს ჩვენი მშობლიური რაიონი, გთხოვთ გახდეთ ჩვენი აქტიური კორესპოდენტები, მოგვაწოდეთ თქვენთან მიმდინარე პროცესებზე, თქვენს ცხოვრებაზე, გაკეთებულ საქმეებზე ინფორმაციები, ხოლო სადაც პრობლემებს ხედავთ, მოურიდებლები ვიყოთ, მოდით, ერთად ვიფიქროთ მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებზე, რაიონის ცხოვრების მაჯისცემა თითოეული თქვენგანით უნდა ისინჯებოდეს. გვახსოვდეს – სხვა ჩვენს საქმეს არ გააკეთებს, ისევ ჩვენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობით და უშუალო მონაწილეობით ძალგვიძს თითოეული საკითხის მოგვარება – ბევრი გაკეთებული საქმე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი უკეთესი ცხოვრებისათვის. ამიტომ, კიდევ ერთხელ გთხოვთ, აქტიურად ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან უკეთესი მომავლის იმედით.

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“
რედკოლეგია

დანიშვნები

ახლახან ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის წესით დაინიშნენ:

მიხეილ მაისურაძე – არქიტექტურისა და მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად მშებებლობისა და ზედამხედველობის საკითხებში;

გიორგი მურადაშვილი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსად;

თეიმურაზ ზაზაძე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსად;

ქეთევან ღოღაძე – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის, არქიტექტურის და მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილების უფროსად;

გოდერძი ლაზარაშვილი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად;

სლავა სუარიძე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად;

ირაკლი ჯვარიძე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსად;

ოთარ ცინაძე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსად.

ეროვნული

სტიქიური ნაგავსაყრელები საქართველოში და მისი გავლენა ეკოსისტემებზე

საყოფაცხოვრებო ნარჩენი, თანამედროვე გაგებით, არ არის ადამიანისთვის გამოუდეგარი ან არასაჭირო რამ, არამედ დღეს ის გვევლინება, როგორც მეორადი გამოყენების საგანი, რომლიდანაც შეიძლება შეიქმნას მოსახლეობისათვის საჭირო მრავალი მოხმარების საგნები.

წარმოშობის მიხედვით, ნარჩენი შეიძლება დავყოთ შემდეგ ტიპებად: სამრეწველო; სასოფლო-სამეურნეო; სამშენებლო; სამედიცინო; საყოფაცხოვრებო და სხვ. საშიშროების მიხედვით ნარჩენები შეიძლება დავყოთ – სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებად.

სახიფათოა ნარჩენი მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, მათი შენახვის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ან თუ შეიცავს ის იმ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც სხვადსხვა ტიპის საშიში ინფექციების გავრცელების წყაროა ან ეს ნივთიერებები ცეცხლსაშიშ და ადვილად ასაფეთქებელ ნივთიერებებს წარმოადგენენ. ასევე სახიფათოა ნარჩენი თუ ის საშიშია და ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენი, არის ყოველივე ის, რაც გროვდება ოჯახებში, დაწესებულებებსა და ოფისებში, დასახლებულ კომპლექსებში და სხვა. მისი ფრაქციული შემადგენლობა შეიძლება დავყოთ სველ (ძირითადად საკვები პროდუქტების ნარჩენები) და მშრალ ფრაქციად.

მშრალი ფრაქციის შემადგენლობაა: პლასტიკა; მუყაო-ქაღალდი (მაკულატურა); შუშა; ქსოვილები (ძველი ტანსაცმელი); ელექტროსაგნები, ბატარეები, აკუმულატორები ; რეზინის საგნები; ვერცხლისწყლის შემცველი ნათურები და სხვ.

საქართველოში განსაკუთრებულად მრავლადაა სტიქიური (არაკონტროლირებადი) ნაგავსაყრელები, რომლებიც ხშირად განლაგებული არიან ხევებში (განსაკუთრებით რეგიონებში), მდინარეების პირას, საძოვრების ტერიტორიებსა და დასახლებულ ტერიტორიებთან ახლოს. აღნიშნულ ნაგავსაყრელებზე ხშირად შევხვდებით სახიფათო ნარჩენებსაც, იმდენად, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობს სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი. სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც ხასიათდებიან განსაკუთრებული ანტისანიტარიით, სამწუხაროდ, მიმზიდველი გამოდგა შინაური ცხოველებისათვის და, შესაბამისად საშიში იმ მოსახლეობისათვის, რომლებიც არც თუ ისე შორს ცხოვრობენ არსებული ნაგავსაყრელების ტერიტორიებიდან. ამიტომაც, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი„-ის მუშა ჯგუფის მიერ („დავასუფთაოთ საქართველო„-ს (ფაზა III) პროექტის ფარგლებში) შვედეთის მთავრობის ფინანსური დახმარებით განხორციელდა თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია, აგრეთვე, ზოგიერთი მეტად თვალსაჩინო სტიქიური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიების ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები. შედეგად, პირველად ჩვენს ქვეყანაში, შესწავლილ და შეფასებულ იქნა ამ ტიპის ნაგავსაყრელების გავლენა ეკოსისტემების დაბინძურების პროცესებზე და იმ ნეგატიური ზეგავლენების დადგენა, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანების ჯამრთელობასთან დაკავშირებით.

არსებული მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად გამოწვეულია რეგიონებში სერვისის არ არსებობის და მოსახლეობის შედარებით დაბალი ცნობიერების გამო (ეკოლოგიური განათლების ნაკლებობა). საქმე იმაშია, რომ ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი აწყობილი სისტემა, რომელიც დაალაგებდა ყველა ამ პრობლემას და გახდიდა საქართველოს უფრო ევროპულ ქვეყანად. ამისათვის ალბათ საჭიროა საქართველოს მთავრობამ ჩადოს მეტი ფინანსები მოცემული პრობლემების გადაწყვეტაში და მოიზიდოს მეტი ინვესტორი.

კომპონენტები, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა შესწავლილი, ახასიათებთ და, შესაბამისად, არსებობენ ნაგავსაყრელების ტერიტორიებზე. ესენი არიან ზოგიერთი ბიოგენური ელემენტების ფორმები, ზოგიერთი კანცეროგენული მძიმე ლითონები, ან ისეთი აქტიური მიკრობაქტერიები, როგორებიცაა ერშერიხია კოლი (E-coli), ფეკალური სტრეპტოკოკები, ტოტალური კოლიფორმები, რომლებიც გარემოში ხშირად ქმნიან ანტისანიტარულ მდგომარეობას.

როგორც მოგახსენეთ, საანალიზო ნიმუშებს (ნიადაგი, წყალი) ვიღებდით სტიქიური ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიებიდან, რომლებსაც ვიკვლევდით როგორც ფიზიკურ-ქიმიური, ასევე მიკრობიოლოგიური კუთხით, ანუ ჩვენთვის დაინტერესებულ ობიექტებს ვსწავლობდით კომპლექსურად.

რამდენიმე წლის მიღებულმა შედეგებმა თვალნათლივ დაგვანახეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სტიქიური ნაგავსაყრელები ხშირ შემთხვევაში აბინძურებენ მიმდებარე ტერიტორიებს, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის შინაური ცხოველებისა და რეგიონში მაცხოვრებელი მოსახლეობის ჯანმრთელობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრივ ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, ვიდრე მის დასავლეთ ნაწილში. კერძოდ, მძიმე ლითონებიდან ნიადაგის ნიმუშები ყველაზე დაბინძურებული აღმოჩნდა ტყვიით. ის ხშირ შემთხვევაში რამდენჯერმე აჭარბებდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზდკ), ასევე მძიმე ლითონებიდან თავი იჩინა სპილენძმა და თუთიამაც, თუმცა არა იმ დოზით, რასაც ადგილი ჰქონდა ტყვიის შემთხვევაში. მხოლოდ და მხოლოდ 2 შემთხვევაში აღმოჩნდა მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებული კადმიუმით, რომელიც თავისი კანცეროგენული თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება ტყვიას. არცერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა საანალიზო ნიმუშები დაბინძურებული ვერცხლისწყლით.

მდინარის წყლის საანალიზო ნიმუშების შედეგებმა (თუკი ნაგავსაყრელი მდებარეობდა მდინარის პირას) ასევე დაგვანახეს, რომ სტიქიური ნაგავსაყრელები ხშირ შემთხვევაში აბინძურებს მდინარის წყალს და, შესაბამისად, გარკვეულ როლს თამაშობს ზედაპირული წყლების დაბინძურების პროცესებში. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ, უმეტეს შემთხვევაში, როგორც ნიადაგის, ასევე წყლის ნიმუშებში დაფიქსირდა E-coli-ისა და ფეკალური სტრეპტოკოკების ნორმატივებზე მეტი რაოდენობები, ასევე ამონიუმის იონის მომატებული კონცენტრაციები, რაც მიანიშნებს მიმდებარე ტერიტორიების ანტისანიტარულ მდგომარეობაზე.

ჩვენს მიერ განხილული დამაბინძურებლები ნაგავსაყრელებზე შემთხვევით როდი ხვდება; ისინი სხვადასხვა პროდუქტის თუ ნივთის შემადგენლობაში შედიან და ასე აღმოჩნდებიან ხოლმე მოცემულ ობიექტებზე. ესენია - რემონტის შემდგომ დარჩენილი საღებავიანი ან რაიმე გამხსნელის შემცველი ჭურჭელი, გატეხილი ვერცხლისწყლიანი თერმომეტრები, წყობიდან გამოსული ეკონომიური ნათურები, ბატარეები, კონდენსატორები, საკვები ნარჩენები და მრავალი სხვა.

ბოლოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელები მნიშვნელოვნად ნეგატიურ გავლენას ავლენენ ეკოსისტემების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქვეყნის მთავრობამ (განსაკუთრებით კი ადგილობრივმა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა) მეტად უნდა იზრუნოს (მაგალითად, შესთავაზონ მეტი სერვისი) იმაზე, რომ ქვეყანაში სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლოს და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ქვეყანა უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ყველა ის დირექტივები და ვალდებულებები, რომლებიც იმ ევროასოცირების ხელშეკრულების შემადგენელია, რომელსაც მან ხელი მოაწერა.

ნუგზარ გუაჩიძე,
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,
გარემოს მონიტორინგის ექსპერტი

დედა – დედამიწა...

„შენ ყოველთვის ლამაზი ხარ, მაგრამ გაზაფხულზე განსაკუთრებით მომხიბვლელად გამოიყურები. გაზაფხულიც ხომ შენგან იწყება, მშვენიერო“! – ამ მრავლის მომცველი ფრაზებით შეიძლება ერთნაირად ვისაუბროთ სამყაროს უძვირფასეს ქმნილებაზე – დედაზე და ჩვენს ღვთაებრივ პლანეტაზე – დედამიწაზე. საოცარია, ამქვეყნად რაც კი კაცობრიობისთვის სიწმინდედ აღიქმება, ყველაფერი დედას უკავშირდება: – დედაღვთისმშობელი, დედამიწა, დედასამშობლო, დედაენა, დედაისტოროა, დედაბოძი, დედააზრი...

ზოგჯერ დავფიქრდები და თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ, რომ სამყაროს შემოქმედმა, თავის რჩეულ პლანეტაზე – დედამიწაზე მომავლინა, ქვეყნად ყველაზე კარგი დედა მაჩუქა და უდიდესი მადლი მოიღო – დედობა მომმადლა, რაც, ამქვეყნად, ყველაზე ძვირფასი საჩუქარია ქალისათვის. როცა ამას წარმოვიდგენ, სამყაროს უსასრულობაში გადავეშვები და ქვეყანა ჩემთვის შექმნილი მგონია.

ალბათ, ყველა ქალი იგივეს განიცდის. არაერთ მწერალს, პოეტს, მხატვარს, აურჩევია თავისი შემოქმედების მუზად დედა. დედა-შვილობის განუზომელ მადლს კიდევ უფრო გვილრმავებს ქართული ტრადიციები. არცერთი ქართული სუფრა არ ჩაივლის ისე, რომ დედის და მშობლიური მიწის სადღეგრძელო არ ითქვას.

სამყაროს მშვენიერების აღქმას, ადამიანი, დედისაგან სწავლობს, სამყარო კი დიდ შანსს გვაძლევს, საინტერესო ცხოვრებით ვიცხოვროთ, შევიცნოთ დედამიწის მადლი და გავითავისოთ, რისთვის მოვედით ამქვეყნად. შევიყვაროთ იგი, როგორც მშობელი დედა, რომელიც გვასაზრდოებს, გვზრდის, რომ მერე, როგორც დედას, მიწასაც ისე მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ. არადა, რამდენი საინტერესო რამ ხდება დედამიწის თავს, მისი გულიც ხომ დედის გულივით ფეთქავს და ფუთფუთებს, ბორგავს და უკეთესი მომავლისაკენ გვიბიძგებს.

... მერე გადის წლები... ადამიანები უსასრულობას ვუფრთხილდებით, დედამიწა კი, თავის გულში სათუთად გვინახავს, როგორც მისი წიაღიდან გამოსულ შვილებს – „მიწა იყავ და მიწად იქეც“!

მცნება – დედა, გამოუცნობია, მგონია, რომ ჯერაც შეუცნობელია და მიუწვდომელი კაცობრიობისათვის, – საიდან მოვედით, ბიოლოგიური დედის საშუალებით და სად მივდივართ – დედამიწის მეშვეობით?!

ჩემთვის, ერთადერთი, დამაჯერებელი ფაქტი ის არის, რომ ადამიანები, ზეციურ და მიწიერ სამყაროს შორის, დამაკავშირებელი ხიდი ვართ, რომელზეც ამაყად დააბიჯებს მისი უდიდებულესობა – მარადისობა.

არის ძალა, როცა გვეჩვენება, რომ სიტყვა უძლური ხდება გრძნობის, განწყობის, ფიქრის წინაშე. ეს ძალა სიყვარულია, რომელიც ერთმანეთთან გვაკავშირებს დედა-შვილს, მეგობარს, ნათესავს და, ზოგჯერ, სრულიად უცნობსაც კი...

დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ, ძვირფასო ქალბატონებო!

დედაშვილობის მადლს და მხნეობას დაგილოცავთ, რამეთუ, დედა ბურჯია ცხოვრებისა!

ინგა მინაშვილი

„ნანა მასწ, ძალიან, ძალიან გვიყვარხართ"!

ასპინძის საჯარო სკოლის პირველი „ა" კლასის საკლასო ოთახში ხალისიანი და საქმიანი ჟრიამულია, საგანგებოდ გამოპრანჭული გოგო-ბიჭები, დაწყებითი კლასის მასწავლებელი ნანა ნემსაძე, ღია გაკვეთილისათვის ემზადებიან.

პატარებისთვის ეს პირველი ღია გაკვეთილია. მათ ამ გაკვეთილის მნიშვნელობა ჯერ კიდევ კარგად არ აქვთ გათავისებული. თუმცა, მათთვის, ყოველი სიახლე, ხალისთან ასოცირდება, – ნანა მასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პატარები ყოველთვის ბედნიერები იყვნენ.

გაკვეთილი დაიწყო. გემოვნებით მორთული საკლასო ოთახი მიგვანიშნებს, რომ ისინი დღეს მათთვის ახალ ასო-ბგერას – პ-ს გაიცნობენ.

გაკვეთილს ესწრებიან შეფასების ჯგუფის წევრები: – სკოლის დირექტორი კლარა ზედგინიძე, როზა ნარიმანიძე, დალი მექოშვილი და ნინო გაფრინდაშვილი.

ხალისიანი მუსიკის ფონზე, ცნობილი ზღაპრების გმირი, – პეპი შემოდის, რომელსაც მეხუთე კლასის მოსწავლე ანა მურადაშვილი ანსახიერებს. მის გამოჩენას პატარები ხალისიანი ემოციებით ხვდებიან. პეპიმ „პ" ასო შემოუტანა პატარებს. ნანა მასწავლებლის მიერ შექმნილმა საინტერესო და მრავალფეროვანმა დეკორაციებმა კიდევ უფრო ეფექტური გახადა გაკვეთილი.

ეს დღე არასდროს დაავიწყდებათ როგორც პატარებსა და პედაგოგებს, ასევე პირველ კლასელთა მშობლებს.

გაკვეთილის ბოლოს, ზღაპრული ყუთი, ტრადიციულად, სულ „მზეებით“ გაივსო. რაც იმას ნიშნავს, რომ პატარებს გაკვეთილი ძალიან მოეწონათ. ეს მათი შეფასება გახლდათ, მზესავით კეთილი ნანა მასწავლებლისადმი,

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო გახლდათ შეფასების ჯგუფის შედეგები, შეფასება კი ასეთია – უმაღლესი... შენიშვნების გარეშე.

– „ამ ტიპის გაკვეთილები, ჩვენს სკოლაში, ხშირად ტარდება, – გვესაუბრება ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორი კლარა ზედგინიძე, – ეს ინტეგრირებულია, სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება და პროექტის მიზანია, პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარება. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამ შემთხვევაში, პედაგოგმა გამოიყენა მიზანთან შესაბამისი აქტივობები, გაკვეთილი იყო ხალისიანი, სრულიად აკმაყოფილებდა თანამედროვე სტანდარტებს. რაც შეეხება ქალბატონ ნანა ნემსაძეს, მისი ქება, როგორც კოლეგას არ მომბეზრდება, იგი ჩვენი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგია. გამოირჩევა კომპეტენციის მაღალი ხარისხით, გაკვეთილზე და მოსწავლეებზე ორიენტირებული პედაგოგია. წარმატებებს ვუსურვებთ შეფასების ჯგუფის სახელით“.

მშობელთა სახელით კი გაზაფხულის შემობრძანებას ვულოცავთ ქალბატონ ნანა ნემსაძეს. ბედნიერებას, ულევ სიხარულს ვუსურვებთ მის ლამაზ ოჯახთან ერთად და იმ სიტყვებს გავიმეორებთ, რომელსაც ყოფილი მოსწავლეები საკლასო ოთახის კარზე ბარათების სახით რომ უტოვებენ– ,,ნანა მასწ, ძალიან, ძალიან გვიყვარხართ“!

კულტურა

მკითხველთა კონფერენცია

27 თებერვალს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა ღონისძიება თემა: „ ქალი – დედა, ემიგრაცია და ვედრება“.

ღონისძიების მთავარი ნაწილი – ანგარიში – „2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“ – დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მთავარმა სპეციალისტმა **ქეთევან დავლაშერიძემ**.

ნუნუ ბუჩუკურმა თემატურად დაალაგა წარმოდგენილი მონტაჟი და იგი სამ ნაწილად დაყო: 1). ქალი და დედა (დედის დღისა და სარვამარტო დღესასწაულებთან დაკავშირებით); 2). ემიგრაცია და ემიგრანტები და, 3). ვედრება – აღვლენილი ლოცვა უფლისა და ღვთისმშობლის მიმართ.

კომპოზიციაში ძირითადად წარმოდგენილი იყო ლექსები და მუსიკალური ნომრები. დიდი გულისტკივილით აღინიშნა, რომ, როგორც დანარჩენი საქართველოდან, ასპინძის მუნიციპალიტეტიდანაც მრავლადაა უცხოეთში გადახვენილი ჩვენი თანამემამულეები და ისინი მუდმივ ყურადღებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

ღონისძიებაზე წაკითხული იქნა გულში ჩამწვდომი ლექსები, მათ შორის ასპინძელი **მიხეილ ივანიძის** – „მე ემიგრანტი დედის შვილი ვარ“, **გივი ნემსაძის, ლაშა გვაძაბიას** და სხვათა ლექსები, რომლებიც წაიკითხეს ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა **ბექა ბერიძემ, ამირან კალანდაძემ, გიორგი მელიქიძემ** და სხვებმა, პროფესიულ დონეზე იქნა წარმოდგენილი მუსიკალური ნომრები **ბექა ზედგინიძის, ზაურ ოთანაძის, ეკა კოხრეიძის, ანჟელა ზაზაძისა** და **თამაზ ლონდარიძის** შესრულებით. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის დაბადების 85 და აღსაყდრების 40 წლის საიუბილეოდ მათვე შეასრულეს საგალობელი – „ჩვენო პატრიარქო“.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე** და ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი **მამა ზაქარია**, რომელმაც პარაკლისი გადაიხადა ემიგრანტთა სახელზე, უფალს შეავედრა ყველა ისინი და შინ მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

სასიამოვნო ფაქტია, რომ ამ დღეს მთავარმა ბიბლიოთეკამ დამატებით 28 ახალი მკითხველი შეიძინა.

„ხმამაღალი კითხვის“ საღამო ასპინძის ბიბლიოთეკაში

მესამე წელია, რაც საქართველო შეუერთდა „ხმამაღალი კითხვის“ მსოფლიო დღეს. წელს ეს ღონისძიება პირველ თებერვალს აღინიშნა.

ხმამაღალი კითხვის დღე იმას ნიშნავს, რომ ავტორმა წიგნის მოყვარულებს წარუდგინოს თავისი როგორც პროზაული, ასევე პოეტური ნაწარმოებები, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც კაფეში, სკვერში, მეტროში, სკოლის დარბაზში, კლასში, აუდიტორიაში, ქუჩაში, ასევე საზოგადოების თავშეყრის ნებისმიერ ადგილზე, რომლის დევიზია – თუ მკითხველი არ მოდის წიგნთან, ჩვენ მივალთ მასთან.

მთავარი ბიბლიოთეკის უფროსმა ბიბლიოთეკარმა **ნუნუ ბუჩუკურმა** ამ დღესთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოიწვია ასპინძის საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი **თინათინ წითლანაძე**, რომელმაც მოწვეულ სტუმრებს გააცნო ასპინძელი ახალგაზრდა პოეტების **გივი ნემსაძის, გვანცა ირიაულის, ანა ბერიძისა** და **გიორგი ლეკიშვილის** ბიოგრაფიები, ისაუბრა მათ შემოქმედებაზე. მოსწავლეებმა წაიკითხეს ძველი და ახალი ლექსები.

ღონისძიება საინტერესო და სასარგებლო გამოვიდა იმითაც, რომ ამ დღეს ბიბლიოთეკამ შეიძინა 15 ახალი მკითხველი და სურვილი იმისა, რომ უახლოეს მომავალში კიდევ მიეღოთ მონაწილეობა მსგავს საღამოებში.

როცა მხარდაჭერას გრძნობ

25 წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ქვეყანამ სასურველ ეკონომიკურ შედეგებს მაინც ვერ მიაღწია. ალბათ, კიდევ დიდი დრო დაგვჭირდება წარმატებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე, დაძლეული იქნას მასობრივი უმუშევრობა და ამაღლდეს დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება.

თუმცა, ყოველივე ამის ფონზე, ნელ-ნელა, აღმასვლა მაინც შესამჩნევი ხდება, რაც, სხვებთან ერთად, ჩვენს მუშაობაზეც აისახება. ყველა დროში რომ კულტურის სისტემას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ამას ყველა კარგად ხედავს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონე კი ყოველთვის მის განვითარებას უშლიდა ხელს. ეს, პირველ რიგში, საბიბლიოთეკო სისტემაზე აისახებოდა. მწირი ბიუჯეტით რომ წარმატება არ მიიღწევა, ცხადია.

უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, სისტემური ცვლილებები ჩვენც შეგვეხო, რა თქმა უნდა, უკეთესობის კუთხით, რაც, პირველ რიგში, ჩვენი ორგანიზაციის დაფინანსებაში აისახა და მუშაობის სტიმულიც მოგვეცა, რის გამოც, თავს უფლებას ვაძლევ, საბიბლიოთეკო გაერთიანებაში დასაქმებულთა სახელით, განსაკუთრებული პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო მუნიციპალიტეტის მერიისა და, პირადად, მერის, ბატონ **როსტომ მაგრაქველიძის** მიმართ, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მხარში დაგვდგომოდა, გაეთვალისწინებინა გაერთიანებაში არსებული სავალალო მდგომარეობა და, შესაძლებლობის ფარგლებში, წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, გაეზარდა საბიბლიოთეკო გაერთიანების დაფინანსება თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების ჩათვლით. ყოველივე ეს კი ავანსია იმისა, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა კიდევ უფრო გაუმჯობესოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების დონე და ხელი შეუწყოს მომავალი თაობის წიგნიერი აღზრდის დიდ საშვილიშვილო საქმეს.

როცა მხარდაჭერას გრძნობ, მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გემატება და მუშაობის ხარისხიც მაქსიმალურად იზრდება.

ნინო ბერიძე,
ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის
დირექტორი

პრობლემა

დაუდევრობამ შესაძლოა ფატალურ შედეგებამდე მიგვიყვანოს!

არ არის დღე, რომ ყოველ საინფორმაციო გამოშვებაში ქართულმა ტელეარხებმა საზარელი ფაქტები არ გვამცნონ – სადღაც, მაღალართულიანი მშენებარე ობიექტიდან მუშა გადმოვარდა, სადღაც, მძღოლის დაუდევრობით, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა და ასე შემდეგ, დაუსრულებლად...

ყოველივე ეს კი, უპირველესად, გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობის ბრალია. ხშირად, ადამიანებს, მხოლოდ წუთიერი განცდები აქვთ მომხდარ ფაქტებზე, მერე, უცებ ივიწყებენ ყველაფერს.... „სხვისი ჭირი, ღობის ჩხირის“ პრინციპით მოქმედებენ და... გრძელდება ასე მოჯადოებულ წრეში ხეტიალი...

სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აგერ, აქვე, ყურისძირში, არაერთი მსგავსი ფაქტის მომსწრენი ჩვენც გავმხდარვართ, მერე, ასევე, მალევე დაგვივიწყებია ყველაფერი... უყურადღებობამ და თავგასულობამ კი, შესაძლოა, ფატალურ შედეგებამდეც მიგვიყვანოს, მერე კი... „გვიანი იქნება ტუჩზე კბენანი“.

ასპინძის ცენტრში არსებულ, ე.წ. „წყაროსთან“ წრიული მოძრაობა, ხშირად, ბერმუდის სამკუთხედს გვაგონებს, – რამდენიც არ უნდა ვთქვათ, ვწეროთ, ვიკითხოთ, მაინც ვხდებით ამ ადგილზე ავტოსაგზაო შემთხვევების მოწმენიც, რომელსაც ადამიანთა სიცოცხლეც კი შეუწირავს.

ამ ფოტოზე ასახულია ამასწინათ მომხდარი კიდევ ერთი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტი, როდესაც მაღალი სიჩქარით მომავალი ავტობუსი და მიკროსატვირთო ავტომანქანა პირდაპირ გზაჯვარედინზე შეეჯახნენ ერთმანეთს, საბედნიეროდ

მსხვერპლის გარეშე დამთავრდა ეს „შერკინება“.

იბადება კითხვა: მაინცდამაინც რატომაა, რომ სწორედ აქ ხდება ყველაზე მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა? პასუხი ერთია: ამას იწვევს მძღოლთა მხრიდან დასახლებულ პუნქტში დაშვებულზე მეტი, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა და, ამავდროულად, ზოგიერთი ახალგაზრდის თავზეხელაღებული ქმედება, რაც არცთუ იშვიათად ხდება და აშკარა საშიშროების წინაშე აყენებენ როგორც თავიანთ თავს, ასევე შემხვედრ ტრანსპორტსაც და, უპირველესად, ფეხით მოსიარულეებს, განსაკუთრებით სახიფათოა პიკის საათებში არსებულ ტერიტორიაზე მოსწავლეთა გადაადგილება და ა.შ.

სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ საგრძნობლად დაბალია ამ ობიექტზე შესაბამისი სამსახურების მხრიდან კონტროლი, ამიტომ მიგვაჩნია – ვისაც ეს ხელეწიფება და მოვალენიც არიან, განსაკუთრებით გააააქტიურონ და გაამკაცრონ მუშაობა, მაქსიმალურად გამოიყენონ სადამსჯელო სანქციები, არ დაუშვან ლიბერალური მიდგომა არცერთ ფაქტზე.

აქვე ყურადღებას საჭიროებს ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტიც, რომელიც ავტომანქანების მფლობელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს, – მოძრაობის წესების თანახმად, ცხადია, ავტომძღოლებმა გზა პირველ რიგში, ჩიხიდან გამომავალ ტრანსპორტს უნდა დაუთმონ, თუმცა, როდესაც მაღალი სიჩქარით მოძრაობს დიდი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომანქანები, მძღოლების მიერ გზის დათმობისას, ტრანსპორტის შეჩერება ძნელდება, მით უფრო, თოვლისა და გაყინული გზის პირობებში; ასევე აღნიშნულ ადგილზე, – საპირისპირო მხრიდან მომავალი დატვირთული ტრანსპორტის სვლაგზის შენელებითაც ფერხდება მოძრაობა, მით უფრო მაშინ, როცა ერთმანეთის მიყოლებით სატვირთო ავტომანქანების მთელი კოლონა დგას (რაც ხშირად ხდება) და საავარიო სიტუაციების რისკიც მატულობს; ამიტომ, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რა ეს გარემოება, საჭიროა შესაბამისი მექანიზმის შემუშავება, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხეები. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ხშირად უნდა ვახდენდეთ ასფალტის საფარზე ჰორიზონტალური საგზაო ნიშნების განახლებას, რათა მძღოლებმა მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ და დამორჩილდნენ მოძრაობის წესებს.

აღსადგენია თამარის ქუჩიდან გადასახვევის სავალი ნაწილის გზაჯვარედინზე მოსახვევის აღმნიშვნელი ტრაფარეტიც. გარდა ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიზღუდოს ტერიტორიის გზის სავალი ნაწილის მიმდებარედ ავტომანქანების გაჩერება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სოფელ ნიჯგორში გამავალი ცენტრალური საავტომობილო გზა, რომლის საფეხმავლო მონაკვეთი რეაბილიტაციას ითხოვს, რადგან მოსახლეობა სავალ ნაწილად სწორედ ამ საავტომობილო გზით სარგებლობს და სახიფათო სიტუაციები იქმნება.

ალბათ, შესაბამისი სამსახურები ყურად იღებენ ამ ფაქტებს და გამოიყენებენ მინიჭებულ უფლებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული საგზაო შემთხვევების რისკები, სხვა თუ არაფერი, ადამიანთა უხიფათო ცხოვრების დაცვა ხომ მათი პრეროგატივაა და მოვალენიც არიან გამოიყენონ კანონით მინიჭებული ყველა უფლება!

ავთანდილ მესხი

ფოლკლორი

ყველას გასაგონად

მოგეხსენებათ, ფუტკარი
სარგებელს გვაძლევს ბევრსაო,
მაგრამ მცენარის დამტვერვით
სიკეთეს შეუცვლელსაო.

არ ვუფრთხილდებით ბუნებას
და ამ ღვთაებრივ მწერსაო,
ფუტკარსაც გადავაყოლებთ
დაუდევრობას ჩვენსაო.

ვწამლავთ ფუტკარს და ყვავილებს,
ვაკნინებთ მისსა გენსაო,
იმუნიტეტის დაკარგა
უწამლოდ ვეღარ სძლებსაო.

თუ გადაშენდა ფუტკარი,
მას თან გაჰყვება ხილიო
და ჩვენ თვითეულს ამაში
გვექნება დიდი წვლილიო.

ქიმიას ცოდნა ჭირდება,
უსაფრთხოებას – დაცვაო,
რომ იწამლება გარემო
ამას ხომ ხვდება ბრმაცაო.

ათასნაირი „პლასტმასი„
ყველგან გვაქვს მოფენილიო,
ეს არის უბედურება
და ქვეყნის სიძულვილიო.

ბუნებას დავასნეულებთ,
მოვწამლავთ მიწა-წყალსაო,
გაფიქრებაც კი მაშინებს,
რაც ელის მომავალსაო.

ამდენი უწესრიგობა
უთუოდ იჩენს თავსაო,
ვიცით, ამას რაც მოყვება,
მაშ რატომ ვხუჭავთ თვალსაო?!

მნათე

მზად უნდა იყოს პოეტი მუდამ,
რომ მთელი ძალით შემოკრას ზარი
და საჭირო დროს ამცნოს ქვეყანას
დამანგრეველი ყოველი ბზარი.

ზოგჯერ საჭირო ხდება განგაში,
ფხიზლად რომ იყოს ქართველი ერი,
რომ არ შეგვირყვნან ცნობიერება,
არ მოგვირყიონ ფუძე და ჭერი.

ბუნდოვან დროში გვიწევს ცხოვრება,
დაბნეულია ქართველი ერი,
ვეღარ გავიგეთ, რა უნდათ ჩვენგან,
ვინ მოყვარეა და ვინ კი მტერი.

თუ საქართველოს ბედი გვაწუხებს,
უნდა შევრიგდეთ ერი და ბერი
ჩვენ ერთმანეთი თუ არ დავჭამეთ,
ვერას დაგვაკლებს გარეშე მტერი.

თუ ვთქვი სათქმელი, რისი თქმაც
მსურდა
და მივაწვდინე ჩემი ხმა ვინმეს,
თუ ჩავწვდი სულში თუნდაც ერთ
მკითხველს,
მითხარ, – კიდევ რამ, ამად რომ ღირდეს!

მთქმელი ზაურ ჯვარიძე,
სოფელი ჭობარეთი

რედკოლეგია